

**卷末 3 Law of Georgia on Entrails**

## საქართველოს კანონი წიაღის შესახებ

საქართველოს სახმელეთო ტერიტორიაზე, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული წიაღი საქართველოს ეროვნული სიმდიდრეა და მას სახელმწიფო იცავს.

წიაღი არის მიწის ზედაპირის, ნიადაგისა და წყალსატევების ფსკერის ქვეშ ან ხმელეთის ზედაპირზე გაშიშვლებული დედამიწის ქერქის ნაწილი, რომელიც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებებით ხელმისაწვდომია შესასწავლად და გამოსაყენებლად.

სასარგებლო წიაღისეული წარმოადგენს დაძიებულ წიაღისეულს, რომლის მოპოვება და გადამუშავება მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების თანამედროვე დონეზე შესაძლებელი, ეკონომიკურად მიზანშეწონილი და ეკოლოგიურად მისაღებია.

სასარგებლო წიაღისეულის საბადო არის წიაღის გარკვეულ ფარგლებში ბუნებრივად კონცენტრირებული სასარგებლო წიაღისეული.

ამ კანონის მიზანია უზრუნველყოს წიაღისა და სასარგებლო წიაღისეულის რესურსების რაციონალური გამოყენება ბუნებრივი კანონზომიერებისა და გარემოს პოტენციური შესაძლებლობების, დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით.

### თავი I. ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 1. საქართველოს კანონმდებლობა წიაღის შესახებ

1. საქართველოს კანონმდებლობა წიაღის შესახებ მოიცავს ამ კანონს და მისგან გამომდინარე სხვა საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც არეგულირებენ წიაღის, ნებისმიერი სახის სასარგებლო წიაღისეულის, მიწისქვეშა ბუნებრივი სიცარიელების შესწავლასა და გამოყენებას.

## Law of Georgia on Entrails

The entrails existing on the land area of Georgia, its territorial waters, the continental shelf and in a special economic zone are the national wealth of Georgia and are protected by the state.

The entrails represent a part of the earth's crust exposed under the ground, water reservoirs or on the land surface, which by modern scientific and technical means is accessible for study and use.

The fossil is natural formations existing in the entrails. The mineral resources represent the prospected fossil which mining and processing at the current level of scientific and technical development is possible, economically feasible and ecologically acceptable.

A deposit of mineral resources in the mineral resources naturally concentrated within definite boundaries of the entrails.

The objective of this law is to ensure the rational use of the entrails and mineral resources with due regard for natural laws and environment potentialities, interests of the present and future generations and the principles of stable development.

### Chapter I. General Provisions

#### Article 1. Georgian legislation on the entrails

1. The Georgian legislation on the entrails comprises this law and other legal acts proceeding from it which regulate the study and use of the entrails, any kind of mineral resources, subsurface natural cavities, the relations which are established in the process of

ენებას, მომპოვებელ და გადაამუშავებელ წარმოებათა ნარჩენების (მათ შორის გადასახსნელი ქანების) გამოყენების, შენახვისა და დაცვის, აგრეთვე, მიწისქვეშა ნაგებობების შენობობის და ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილ ურთიერთობებს.

2. წიაღით სარგებლობის დროს ატმოსფერული ჰაერის, ზედაპირული წყლის, მიწის, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობა.

3. ეს კანონი მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

**მუხლი 2. საქართველოს წიაღის სტატუსი**

1. საქართველოს წიაღი სახელმწიფოს საკუთრებაა. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელიც პირდაპირ თუ ფარულად ხელყოფს წიაღზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ასეთი გარიგება კი ბათილია.

2. წიაღის ის უბნები, რომლებიც გაცემულია ან შეიძლება გაიცეს სარგებლობისათვის, წარმოადგენენ წიაღით სარგებლობის ობიექტებს.

3. საქართველოში წიაღით სარგებლობა ფასიანია.

**მუხლი 3. წიაღის სახელმწიფო ფონდი**

1. წიაღის სახელმწიფო ფონდს შეადგენს საქართველოს ტერიტორიაზე, მის კონტინენტურ შეღფსა, ტერიტორიულ წყლებში და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული წიაღი, მიუხედავად იმისა, ხდებოდა, ხდება, თუ მოხდა წიაღით სარგებლობა.

2. წიაღის სახელმწიფო ფონდის დებულებას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

**მუხლი 4. წიაღისეულის ჯგუფები**

ეკონომიკური მნიშვნელობისა და კონიუნქტურის გაოვალისწინებით წიაღისეული იყოფა სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის ჯგუფებად. სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის წიაღისეულის სახეობათა ნუსხას ამტკიცებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (შემდგომში

use, storage and protection of the mining and processing industries' wastes (including, overburden rocks) as well as during construction and operation of underground structures.

2. Relations connected with the application of free air, surface water, the plant cover of the earth and the animal world in using the entrails are regulated by corresponding Georgian legislation.

3. The present law is valid on the whole territory of Georgia.

**Article 2. Status of the Entrails of Georgia**

1. The entrails of Georgia are the state ownership. Any actions that violate directly or indirectly the state ownership on the entrails shall be forbidden and such deals. invalid.

2. The localities of the entrails that have been given or may be given for use represent objects of the entrails use.

3. The entrails use in Georgia is chargeable.

**Article 3. State fund of the entrails**

1. The state fund of the entrails comprises the entrails existing on the territory of Georgia, in its continental shelf and in the special economic zone irrespective of whether the entrails were, are or will be used.

2. The statute of the state fund of the entrails shall be approved by President of Georgia.

**Article 4. Fossil groups**

With an allowance for economic significance and conjuncture the fossils are divided into the groups of state and local significance. A list of the state and local significance fossil types shall be approved by the Ministry of the Environment and Natural Resources Protection (hereinafter the Ministry) in agreement with the

სამინისტრო) გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტთან (შემდგომში დეპარტამენტი) შეთანხმებით.

**მუხლი 5. წიაღით სარგებლობის ობიექტების პირველადმომჩენის წოდება**

1. პირს, რომელიც აღმოაჩენს სამრეწველო მნიშვნელობის მქონე სასარგებლო წიაღისეულის უცნობ საბადოს, აგრეთვე, წიაღის ისეთ უბნებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია წიაღისეულის მოპოვებისაგან განსხვავებული მიზნებით, მიენიჭება პირველადმომჩენის წოდება.

2. პირველადმომჩენად მიჩნეული პირის საავტორო უფლებები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პირველადმომჩენის წოდების მინიჭების წესსა და წახალისების ფორმას ადგენს საქართველოს პრეზიდენტი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**თავი II. წიაღით სარგებლობა**

**მუხლი 6. წიაღით სარგებლობა**

1. წიაღით სარგებლობა მოიცავს:

- ა) წიაღის შესწავლას;
- ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასა და გადამამუშავებას;
- გ) სამთომომპოვებელ საწარმოთა ნარჩენების გამოყენებას;

დ) მიწისქვეშა ბუნებრივი სიცარიელების გამოყენებას, აგრეთვე სხვადასხვა დანიშნულების ისეთ მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობასა და ექსპლოატაციას (მათ შორის ნავთობის, გაზის, წარმოების ნარჩენების შესანახად და ჩამდინარე წყლების ჩასაშვებად), რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან;

ე) გეოლოგიური, მინერალოგიური, პალეონტოლოგიური კოლექციებისა და სამუზეუმო ექსპონატების შეგროვებას.

2. წიაღი სარგებლობაში გაიცემა მხოლოდ სათანადო ნებართვის (ლიცენზიის) საფუძველზე, გარდა ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნ-

"State Department of Geology (hereinafter the Department).

**Article 5. Title of the first discoverer of the entrails use objects**

1. A person who discovers an unknown commercial deposit of mineral resources as well as such localities of the entrails which use is possible for reasons other than the fossil mining shall be given the title of the first discoverer

2. Copyright of the person recognized as the first discoverer shall be defined under procedure established by the legislation in force.

The procedure for granting the title of the first discoverer and the form of stimulation shall be defined by President of Georgia under established procedure

**Chapter II. The Entrails Use**

1. The entrails use comprises:

- a) study of the entrails;
- b) extraction and processing of mineral resources;
- c) utilization of waste of mining plants;

d) use of underground natural cavities as well as the construction and operation of such underground structures of different purpose (including those for storage of oil, gas, industrial waste and discharge of sewage), which are not connected with extraction of mineral resources;

e) collection of geological, mineralogical, palaeontological collections and museum exhibits.

2. The entrails shall be given in use only on the basis of an appropriate permit (licence), with the exception of cases as per items 3 and 4

ქტებში აღნიშნული შემთხვევებისა.

3. ლიცენზიას არ საჭიროებს რეგიონალური და გეოფიზიკური, გეოლოგიური აგეგმვის, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა სამუშაოების შესრულება, რომლებიც გამიზნულია წიაღის საერთო შესწავლის, მიწისძვრის პროგნოზირებისა და ვულკანური პროცესების კვლევის, გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის შექმნისა და გაძღოლის, მიწისქვეშა წყლების რეჟიმის კონტროლის, აგრეთვე, ყველა სხვა საქმიანობა, რომელიც არ იწვევს წიაღის მთლიანობის არსებით დარღვევას.

ასეთი სახის წიაღით სარგებლობა, ამ კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად; ექვემდებარება აუცილებელ სახელმწიფო რეგისტრაციას.

4. ლიცენზია საჭირო არ არის კერძო მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფარგლებში მოსარგებლის მიერ საყოფაცხოვრებო დანიშნულებით ადგილობრივი მნიშვნელობის წიაღისეულის მოპოვებისათვის, მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის.

მუხლი 7. სამთო და გეოლოგიური მინაკუთვნი

1. წიაღის უბანი სარგებლობისათვის გადაეცემა სამთო ან გეოლოგიური მინაკუთვნის სახით.

2. სამთო მინაკუთვნი არის წიაღით სარგებლობის ლიცენზიით სივრცობრივად განსაზღვრული წიაღის უბანი, რომლის ფარგლებშიც წიაღით მოსარგებლეს ეძლევა წიაღით სარგებლობის უფლება. სამთო მინაკუთვნი წარმოადგენს ლიცენზიის განუყოფელ ნაწილს და ავტომატურად გაიცემა ლიცენზიასთან ერთად.

3. გეოლოგიური მინაკუთვნი წარმოადგენს მხოლოდ შესწავლისათვის გადაცემულ წიაღის უბანს.

4. წიაღის უბანი გაიცემა სამთო მინაკუთვნების სახით, თუ ლიცენზია ანიჭებს მის მფლობელს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, მიწისქვეშა ბუნებრივი სიცარიელების გამოყენების და ისეთ მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციის უფლებას, რომლებიც არ არის დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, აგრეთვე წიაღის იმ ობიექტების შექმნის

of this article.

3. A licence is not needed for the performance of regional geological and geophysical, geological planning research and other work aimed at general study of the entrails, earthquake forecasting and investigation of volcanic processes, creation and leading the environment monitoring, ground water regime control, as well as all the other activities which do not cause substantial disintegrity of the entrails

Such kind of the entrails use is subject, as per article 23 of this law, to mandatory state registration.

4. A licence is not needed for extracting the fossil of local significance or household purposes, construction and operation of underground structures by a user within the limits of the land plot being in personal property

Article 7. The mining and geological allotment

1. A locality of the entrails shall be given in use as a mining or geological allotment.

2. The mining allotment is a locality of the entrails spatially defined by the entrails use licence within boundaries of which the entrails user is entitled to use the entrails. The mining allotment is an integral part of the licence and is automatically issued together with the licence.

3. The geological allotment is a locality of the entrails given for the purpose of study only.

4. The entrails locality is given as a mining allotment provided the licence gives its holder the right to extract mineral resources, use the underground natural cavities and construct and operate such underground structures which are not connected with the extraction of mineral resources, as well as to create the objects of the entrails that need special protection. The en-

უფლებას, რომლებიც საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას. წიაღის უბანი სამთო მინაკუთვნის სახით გაიცემა აგრეთვე წიაღის შესასწავლად და ამასთან ერთად ან უშუალოდ ამის შემდეგ სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად.

5. აკრძალულია წიაღით სარგებლობა სამთო ან გეოლოგიური მინაკუთვნის ფარგლებს გარეთ. მისი საზღვრები შეიცვლება ახალი სამთო ან გეოლოგიური მინაკუთვნის გამოყოფის საფუძველზე.

6. სამთო მინაკუთვნის საზღვრების დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მარტო უბნის სიღიღე (სიგრძე, სიგანე, სიღრმე), არამედ სამუშაოს ტექნოლოგიური გავლენის ზონები. რაც დაკავშირებულია წიაღის გამოყენებასთან (მისასვლელი და საექსპლოატაციო სამთო გვირაბი, დამცავი მთელანები და სხვა. სამთო მინაკუთვნს უნდა ჰქონდეს შეზღუდვა სიღრმეში).

თუ წიაღის უბანი გადაცემულია მიწისქვეშა წყლების მოსაპოვებლად, სამთო მინაკუთვნის საზღვრები წარმოადგენს სანიტარული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონას.

7. სამთო და გეოლოგიური მინაკუთვნის საზღვრებს ადგენს სამინისტრო და ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექცია (შემდგომში ინსპექცია).

**მუხლი 8. მიწის მინაკუთვნი**

1. წიაღით სარგებლობის ობიექტებს წიაღით სარგებლობის სახეობათა მიხედვით უწესდებათ მიწის მინაკუთვნი, რომელიც გამოიყოფა წიაღით სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით. მისი ზომები განისაზღვრება კონკრეტული გეოლოგიური და სამთო-ტექნიკური პირობების გათვალისწინებით.

2. მიწის მინაკუთვნის ზომებს განსაზღვრავს სამინისტრო მიწათსარგებლობის სახელმწიფო რეგულირების ორგანოსთან შეთანხმებით.

3. ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ფარგლებში სასარგებლო წიაღისეულის აღმოჩენის შემთხვევაში მესაკუთრე სარგებლობს წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მიღების უპირატესი უფლებით.

4. მიწის მინაკუთვნი წარმოადგენს წიაღით

entrails locality is also given as a mining allotment for studying the entrails and concurrent or subsequent extraction of mineral resources.

5. The entrails use beyond the mining or geological allotment is not allowed. Its limits shall be changed on the basis of allocation of now mining or geological allotment.

6. In defining boundaries of the mining allotment the provisions should be made not only for the size of the locality (length, width, depth), but also for the zones of the work technological effect which is connected with the entrails use (access and operational workings, protective pillars, etc). The mining allotment should be restricted in depth.

If the entrails locality has been given for the production of underground waters, the boundaries of the mining allotment shall represent the strict sanitation protection regime zone.

7. Boundaries of the mining and geological allotment shall be defined by the Ministry and the Technical Supervision Inspection (hereinafter the Inspection).

**Article 8. The land allotment**

1. Objects of the entrails use are given a land allotment according to kinds of the entrails use, which is allocated for ensuring the entrails use. Its dimensions shall be defined with regard for concrete geological and mining engineering conditions.

2. Dimensions of the land allotment shall be defined by the Ministry in agreement with the land tenure state control body.

3. In the case of mineral resources discovery within boundaries of the land plot being in possession of a natural or legal person the proprietor shall have the priority right for receiving the entrails use licence.

4. The land allotment is an integral part of

სარგებლობის ლიცენზიის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს და ავტომატურად გაიცემა წიაღით სარგებლობის ლიცენზიასთან ერთად.

the entrails use licence and is automatically issued together with the entrails use licence.

მუხლი 9. წიაღით სარგებლობის ლიცენზირება

Article 9. The entrails use license

1. წიაღით სარგებლობის ლიცენზია წარმოადგენს წიაღით სარგებლობის უფლების დამადასტურებელ ერთადერთ ოფიციალურ დოკუმენტს.

1. The entrails use licence is a single formal document certifying the entrails use right.

2. წიაღით სარგებლობის ლიცენზია გაიცემა პირადად წიაღით მოსარგებლეზე, რომელსაც ეკრძალება ლიცენზიის გასხვისება.

2. The entrails use licence shall be issued to a person to the entrails user without right of its transfer.

3. წიაღის გამოყენების სახეების შესაბამისად ლიცენზია გაიცემა:

3. According to kinds of the entrails use a licence shall be issued for:

წიაღის შესასწავლად;

studying the entrails; extracting mineral resources;

სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად; სამთომომპოვებელი და მასთან დაკავშირებული მრეწველობის ნარჩენების გადასამუშავებლად და გამოსაყენებლად;

extraction of mineral resources; processing and utilizing waste of the mining and its associated industries;

ბუნებრივი სიცარიელების, იმ მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან და წიაღის იმ ობიექტების შექმნასთან, რომლებიც განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს.

constructing and operating natural cavities, the underground structure not connected with the extraction of mineral resources and creating of the entrails objects that require special protection.

4. წიაღის შესწავლის ლიცენზია უფლებას იძლევა შესწავლის წიაღი შესაბამისი გეოლოგიური მინაკუთვნის ფარგლებში მხოლოდ მასში მითითებული მიმართულებით და მის მიზნობელს ანიჭებს თანაბარ პირობებში წიაღით შემდგომი სარგებლობისათვის ლიცენზიის მიღების პრიორიტეტულ უფლებას.

4. The entrails study licence shall give the right to study the entrails within the limits of the appropriate geological allotment only in the direction indicated in it -and entitles its holder to have the priority right to the entrails further use licence on equal terms.

5. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია, ლიცენზიით გამოყოფილი სამთომინაკუთვნის ფარგლებში, იძლევა საბადოს და მუშავეების და დამუშავეების პროცესში წიაღით მოსარგებლისათვის საინტერესო ნებისმიერი მიმართულებით წიაღის შესწავლის უფლებას.

5. The mineral resources extraction licence, within the limits of the licence-allocated mining allotment, shall give the right to the entrails user to study the entrails in any interesting to him direction in the process of the deposit development and processing.

6. სამთომომპოვებელი საწარმოებისა და მასთან დაკავშირებულ საწარმოთა ნარჩენების გამოყენების ლიცენზია იძლევა ამ ნარჩენების გამოყენების უფლებას. თუ საბადოს დამუშავების ლიცენზიის მფლობელი რაიმე მიზეზით ვერ უზრუნველყოფს წიაღით აღნიშნული სახით სარგებლობას, სამინისტრომ ასეთი ლი-

6. The mining and its associated industries' waste processing and utilization licence shall entitle to utilize the waste. If the holder of the deposit development licence for any reason to ensure the given kind of the entrails use, the Ministry can issue such a licence to the other legal or natural person.

ცენზია შეიძლება მისცეს სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირს.

7. წიაღით იმ მიზნით სარგებლობის ლიცენზია რომელიც არ არის დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან (ნავთობისა და გაზის მიწისქვეშა შენახვის, მავნე ნივთიერებებისა და წარმოების ნარჩენების ჩამარხვის, დაბინძურებული წყლების ჩაღვნიების, მიწისქვეშა ბუნებრივი სიცარიელების გამოყენების და სხვა საჭიროებისათვის), იძლევა წიაღის უბნებით სარგებლობის უფლებას ლიცენზიით განსაზღვრული სამთო მინაკუთვნის ფარგლებში.

წიაღით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა მავნე ნივთიერებათა და წარმოების ნარჩენების ჩასამარხად, აგრეთვე ჩამდინარე წყლების ჩასაშვებად, დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში სპეციალური მოთხოვნისა და პირობების დაცვით.

8. ნებადართულია ერთდროულად წიაღით სხვადასხვა სახის სარგებლობის კომპლექსური ლიცენზიის (შესწავლა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება-გადამუშავება, სამთამადნო და მასთან დაკავშირებული მრეწველობის ნარჩენების გადამუშავება და ა.შ.) გაცემა.

9. ლიცენზია სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად, აგრეთვე ბუნებრივი სიცარიელებისა და მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის მოპოვებასთან, გაიცემა მხოლოდ წიაღის იმ უბნებზე, რომელთა შესახებაც გელოგიურმა ინფორმაციამ გაიარა წიაღის შესახებ სახელმწიფო ექსპერტიზა, გარდა ამ მუხლის მე-10 პუნქტში აღნიშნული შემთხვევისა.

10. ერთდროულად წიაღის შესწავლისა და სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მიღებისას წიაღით მოსარგებლეს შეუძლია ლიცენზიის შესაბამისად დაიწყოს წიაღისეულის მოპოვება წიაღის შესახებ ინფორმაციის სახელმწიფო ექსპერტიზამდე. სახელმწიფო ექსპერტიზაზე წიაღის შესახებ ინფორმაციის შემდგომი წარდგენის ვადები, წიაღით სარგებლობის პირობების დაზუსტებით, მათ შორის წიაღით სარგებლობის გადასახადების ჩათვლით, მოცემულია ლიცენზიის პირობებში.

11. სასარგებლო წიაღისეულის ერთი სა-

7. The entrails use licence for the purpose which is not connected with the extraction of mineral resources (storage of oil and gas under the ground, burial of harmful substances and industrial waste, discharge of sewage, use of underground natural cavities and for other purposes) shall give the right of using the entrails localities within the mining allotment as defined in the licence.

The issue of the entrails use licence for burial of harmful substances and industrial waste as well as discharge of sewage shall be allowed only in special cases with observance MP special demands and conditions.

8. The issue of the entrails concurrent various use complex licence (study, extraction and processing of mineral resources, treatment of the mining and its associated industries' waste, etc.) is allowed.

9. A licence for extracting mineral resources as well as constructing and operating natural cavities and the underground structures that are not connected with the extraction shall be issued only in those localities of the entrails whose geological data have undergone the state registration with the exception of the cases as per item 10 of this article.

10. In receiving the entrails use licence for concurrent entrails study and extraction of minerals the entrails user may start the excavation of fossil under the licence prior to the state examination of the information on the entrails. Periods of further submittance of the information on the entrails to state examination with specifying the entrails use terms, including the entrails use tax, are given in the licence terms.

11. Several entrails users shall develop min-



ბადო წიაღით რამდენიმე მოსარგებლემ უნდა დაამუშაოს შეთანხმებული ტექნოლოგიური სქემით, რომელიც გამორიცხავს მის არარაციონალურ გამოყენებას.

ასეთ შემთხვევაში წიაღით მოსარგებლეთა კოორდინაცია მათი შეთანხმების საფუძველზე შეიძლება დაეკისროს ერთ-ერთ საწარმოს. აღნიშული პირობები ფიქსირდება ლიცენზიაში.

12. ერთი და იგივე გეოლოგიური მინაკუთენის საზღვრებში შეიძლება ჩატარდეს წიაღის შესწავლის სამუშაოები სხვადასხვა ლიცენზიით.

13. სამთო მინაკუთენის ფარგლებში წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული საქმიანობა სხვა პირებმა შეიძლება განახორციელონ მხოლოდ ლიცენზიის მფლობელის თანხმობით მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

14. წიაღით სარგებლობის ლიცენზია ამტკიცებს წიაღით სარგებლობის პირობებსა და ფორმას, მათ შორის კონცესიის პირობებს. იგი შეიძლება შეივსოს სხვა პირობებითაც, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და ამ კანონს.

15. ლიცენზია ძალაში შედის მისი სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან.

**მუხლი 10. წიაღით სარგებლობის ვადები**

1. წიაღით სარგებლობა ვადიანია. შესწავლის მიზნით წიაღით სარგებლობა განისაზღვრება 5 წლამდე ვადით; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების და ექსპლოატაციის მიზნით - 20 წლამდე ვადით, ხოლო ერთდროულად წიაღის შესწავლისა და სასარგებლო წიაღისეულის და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის - 25 წლამდე ვადით.

2. წიაღით სარგებლობის ვადა აითვლება ლიცენზიის სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან.

3. წიაღით მოსარგებლეს გააჩნია უპირატესობა წიაღით სარგებლობის ვადის გაგრძელების დროს.

**მუხლი 11. წიაღით მოსარგებლე**

1. წიაღით მოსარგებლე შეიძლება იყოს მხოლოდ მეწარმე საკუთრების ფორმის განურ-

eral resources of one develop mineral resources under a coordinated technological design which excludes its irrational use.

In such a case the coordination of the entrails users may be assigned to one of the enterprises. The mentioned conditions shall be fixed in the licence.

12. The entrails study work may be conducted within one and the same geological allotment under a different licence.

13. Activities associated with the entrails use within a mining allotment may be carried out by other persons only in agreement with the licence holder on the basis of a contract concluded between them.

14. The entrails use licence confirms the terms and form of the entrails use, including the terms of a concession. It can be supplemented with other terms as well provided they are not contrary to legislation in force and this law.

15. The licence shall be in force from the date of its state registration.

**Article 10. Terms of the entrails use**

1. The entrails shall be used for a fixed period of time. the entrails use with the purpose of study shall be defined by a period up to 5 years; with the purpose of the extraction of minerals or construction and operation of underground structures - up to 20 years. while with the purpose of the concurrent entrails study and mineral extraction — up to 25 years.

2. The entrails use period shall commence from the date of state registration of the licence.

3. The entrails user shall have an advantage in extending the entrails use period.

**Article 11. The entrails user**

1. The entrails user may be only a proprietor irrespective of the form of ownership, including

ჩველად, მათ შორის სხვა სახელმწიფოს იურიდიული და ფიზიკური პირი, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. წიაღით მოსარგებლენი სარგებლობენ ლიცენზიაში ჩამოთვლილი ყველა უფლებით და პასუხს აგებენ მისი პირობების დაცვაზე.

მუხლი 12. წიაღით მოსარგებლის უფლებები

1. წიაღით მოსარგებლეს უფლება აქვს: ისარგებლოს წიაღისეული ლიცენზიის შესაბამისად მისთვის გამოყოფილი სამთო მინაკუთვნის ფარგლებში ლიცენზიით განსაზღვრული მიზნებისათვის აწარმოოს მეურნეობა მისთვის სასურველი ფორმით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას

გამოიყენოს თავისი შრომის შედეგები (მათ შორის მოპოვებული წიაღისეული) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ისარგებლოს წიაღით ისეთი სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, რომელიც დაკავშირებული არ არის წიაღისეულის მოპოვებასთან;

ისარგებლოს მოპოვებული წიაღისეულის და მასთან დაკავშირებული გადაამამუშავებელი წარმოების ნარჩენებით, თუ ასეთი რამ შეზღუდული არ არის ლიცენზიით;

მისთვის ლიცენზიით გამოყოფილი სამთო მინაკუთვნის ფარგლებში საკუთარი სახსრებით შეისწავლოს წიაღი დამატებითი ლიცენზიის გარეშე;

მიმართოს სამინისტროს ლიცენზიით განსაზღვრული პირობების შესაცვლელად, თუ კი წარმოიქმნა არსებითად განსხვავებული მდგომარეობა;

ისარგებლოს უპირატესი უფლებით ლიცენზიის ვადის გაგრძელების დროს.

2. თუ წიაღით მოსარგებლე არ ეთანხმება წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის, შეჩერების ან შეზღუდვის გადაწყვეტილებას, მას შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება სასამართლოში.

მუხლი 13. წიაღით მოსარგებლის მოვალეობები

წიაღით მოსარგებლე ვალდებულია: ისარგებლოს წიაღით მხოლოდ ლიცენზიით

a legal and natural person, of other state, under established procedure.

2. The entrails users enjoy all rights under the licence and shall be responsible for observing its terms.

Article 12. Rights of the entrails user

1. The entrails user shall have the right: to engage in economic management within the limits of the land allotment with the purposes specified under the licence in desirable to him form unless it contradicts the legislation in force:

to apply the outcomes of his activities (including the extracted fossil) under Georgian legislation and make use of the entrails for such economic and household needs which are not connected with the extraction of fossil;

to make use of the waste of the extracted fossil and its associated industries unless this is restricted by the licence;

to study the entrails at own expense without an additional licence within the limits of the mining allotment allocated to him;

to address the Ministry for amending the terms defined in the licence in case a substantially different situation arises;

to enjoy the priority right for extending the licence.

2. If the entrails user does not agree with the decision to cease, suspend or restrict the entrails use right, he may appeal against such decision court.

Article 13. Liability of the entrails user

The entrails user shall be liable: to make use of the entrails only or the pur-

განსაზღვრული მიზნებისათვის;

უზრუნველყოს წიაღისეული რესურსების რაციონალური და კომპლექსური გამოყენება, გარემოსა და წიაღის დაცვა; განუხრელად დაიცვას სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების წესები;

უზრუნველყოს წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სამუშაოების წარმოებისას წიაღის, ატმოსფერული ჰაერის, წყლის, მიწის, ტყის, დაცული ტერიტორიების, ისტორიისა და კულტურის ძეგლებისა და სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობათა მანვე ზემოქმედებისაგან დაცვა დადგენილი ნორმების მიხედვით;

შეისწავლოს წიაღი კომპლექსურად, უზრუნველყოს შესაბამისი გეოლოგიური, სამარკშიდერო და სხვა დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა;

წარმოუდგინოს ბუნებრივი რესურსების შესახებ და წიაღის შესახებ ინფორმაციის სახელმწიფო ფონდებს ნებისმიერი დოკუმენტაცია დაძიებული, მოპოვებული და წიაღში დარჩენილი მარაგების, წიაღისეულში არსებული კომპონენტების, აგრეთვე, წიაღით სარგებლობის სხვა ობიექტების შესახებ;

უზრუნველყოს საძიებო სამთო გვირაბებისა და ჭაბურღილების ისეთ მდგომარეობაში შენარჩუნება (კონსერვაცია), რომ შესაძლებელი გახდეს მომავალში მათი გამოყენება. გამოყენებისათვის უვარვისი კი გაანადგუროს დადგენილი წესით;

შეაჩეროს სამუშაოები წიაღით სარგებლობისას იშვიათი მცენიერული ან ესთეტიკური უსუეულობის ობიექტების აღმოჩენისას და დაუყონებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;

დაიცვას და საჭიროების შემთხვევაში მოიყენოს წიაღით სარგებლობის შედეგად დაზიანებული მიწის ნაკვეთები უსაფრთხო და გამოდეგ მდგომარეობაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

მიწისქვეშა წყლების (მათ შორის სადრენაჟო წყლები) მოპოვებისას წარუდგინოს ინაქცემები სამინისტროს და დეპარტამენტს დადგენილი წესით;

შეასრულოს სამინისტროსა და ინსპექციის ინსტრუქციები წიაღის დაცვისა და სამუშაოთა უსაფრთხო წესების შესახებ;

წიაღით მოსარგებლე პასუხს აგებს ამ კან-

poses specified in the licence;

to ensure rational and comprehensive use of mineral resources, the environment and the entrails protection; to observe strictly the industrial safety code;

to ensure protection of the entrails, free air, water, forest preserved territories. Monuments of history and culture, and different buildings and structures from harmful effects in the course of the work performed in connection with the entrails use in accordance with established standards;

to study the entrails comprehensively, to ensure drawing up and keeping of corresponding geological, surveying and other documents;

to submit to the state funds of information on natural resources and the entrails any documents about the prospected, extracted and underground reserves, the entrails components as well as other objects of the entrails use;

to ensure preservation (conservation) of the exploratory workings and boreholes in such a condition as to enable their use in future, and to destroy the ones unfit for use under established procedure;

to suspend work upon finding the objects of rare scientific or aesthetic value during the entrails use and immediately inform the respective state bodies about it;

to protect and reduce the land plots damaged as a result of the entrails use to safe and usable condition under procedure established by Georgian legislation;

to submit data to the Ministry and the Department under established procedure in producing underground waters (including the drainage waters);

to fulfill instructions on the entrails protection and safety rules by the Ministry and the Inspection;

the entrails user shall be responsible under

ონით საწარმოს ლიკვიდაციის ან კონსერვაციის დასრულებამდე.

**მუხლი 14.** წიაღით სარგებლობის უფლების ძალადაკარგულად მიჩნევა

წიაღით სარგებლობის უფლება ძალადაკარგულად მიჩნევა:

- ა) კონკურსის ან აუქციონის პირობების უხეში დარღვევისას;
- ბ) პრედენტენტის მიერ ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებულ გადასახადებზე უარის თქმისას;
- გ) საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნის დარღვევისას;
- დ) წიაღით სარგებლობის ლიცენზიის პირობების უკანონო ლიბერალიზაციისა და გადასახადის შემცირების მიზნით გარიგების ფაქტის დადგენისას;
- ე) რომელიმე პრეტენდენტისათვის უკანონო შეღავათების მინიჭებისას;
- ვ) გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევისას;
- ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლების არსებობისას.

**მუხლი 15.** უარი წიაღით სარგებლობის უფლების გაცემაზე

წიაღით სარგებლობის უფლება არ გაიცემა:

- ა) თუ მის მიღებაზე განაცხადი შეტანილია დადგენილი მოთხოვნების დარღვევით;
- ბ) თუ განმცხადებელმა თავისი თავის შესახებ წარადგინა არასწორი მონაცემები;
- გ) თუ განმცხადებელს არ წარუდგენია ან არ შეუძლია წარადგინოს საბუთი, რომ მას აქვს ან ექნება აუცილებელი ფინანსური ან ტექნიკური შესაძლებლობა სამუშაოს უსაფრთხო და ეფექტური წარმოებისათვის.
- დ) თუ განმცხადებელს არ წარუდგენია საქმიანობაზე გარემოსდაცვითი(ეკოლოგიური) ნებართვა.

this law until the enterprise has been liquidated or conserved.

**Article 14. Renouncement of the entrails use right**

The entrails use right shall be deemed as renounced:

- a) in the case of a gross violation of a contest or auction terms;
- b) in the case of the claimant's refusal of the payment;
- c) in the case of the Georgian antimonopoly legislation violation;
- d) in establishing the fact of dealing aimed at illegal liberalization of the entrails use licence terms and decrease of taxes;
- e) in the case of granting illegal advantages to any claimant;
- f) in the case of violation of the environment protection, legislation;
- g) In presence of other grounds stipulated in Georgian legislation.

**Article 15. Refusal of the entrails use right assignment**

The entrails use right shall not be issued if:

- a) the application for its receipt has been filed with violation of established requirements;
- b) the applicant presented incorrect data about himself;
- c) the applicant has not submitted or cannot submit a document certifying that he has or will have the required financial or technical potentialities for safe and efficient conduct of work;
- d) the applicant has not submitted the environment protection (ecological) permit.

მუხლი 16. წიაღით სარგებლობის უფლების შეზღუდვა, შეწყვეტა ან შეჩერება

1. წიაღით სარგებლობის უფლება წყდება:

ლიცენზიით დადგენილი ვადის გასვლისას; ლიცენზიის მფლობელის მიერ წიაღით სარგებლობაზე უარის თქმისას.

2. სამთომომპოვებელი საწარმოს ხანგრძლივი დროით კონსერვაციისას ან კონსერვაციის პირობების დარღვევისას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დაზიანება, სამინისტროს შეუძლია ვააუქმოს გაცემული ლიცენზია.

3. წიაღით სარგებლობა ვადაზე ადრე უნდა შეიზღუდოს, შეჩერდეს ან შეწყდეს:

ა) თუ წიაღით მოსარგებლემ დაარღვია საქართველოს კანონმდებლობა ან ლიცენზიით განსაზღვრული პირობები;

ბ) თუ წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მოქმედების ზონაში მომუშავე ან მცხოვრები ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას შეექმნა უშუალო საფრთხე;

გ) თუ წიაღის მოსარგებლემ დაარღვია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წიაღით სარგებლობისა და დაცვის, სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების, აგრეთვე, გარემოს დაცვის წესები;

დ) საგანგებო მდგომარეობის (სტიქიური უბედურება, სამხედრო მოქმედება და სხვ) შექმნის პირობებში;

ე) თუ მოსარგებლე არ შეუდგა წიაღით სარგებლობას ლიცენზიით დადგენილი ვადებისა და მოთხოვნების შესაბამისად;

ვ) იმ საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში, რომელზეც გაცემული იყო ლიცენზია.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის "ბ)" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს წიაღით სარგებლობა და წიაღით მოსარგებლეს გაეგზავნოს წერილობითი შეტყობინება.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის "ა)", "გ)", "ე)" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღება სამი თვის გასვლიდან მას შემდეგ, რაც წიაღით მოსარგებლეს წერილობით შეატყობინებენ მის მიერ დაშვებულ

Article 16. Restriction, cessation or suspension of the entrails use right

1. The entrails use right shall be suspended: upon expiry of the licence period; on refusal of the licence holder of the entrails use.

2. In the case of a long-term conservation of the mining plant or a violation of the conservation terms which may cause the deposit's damage, the Ministry shall be entitled to renounce the licence issued.

3. The entrails use shall be restricted, ceased or suspended before date:

a) if the entrails user has violated Georgian legislation or conditions provided for by the licence;

b) if the life and health of the people working or residing in the zone of the work connected with the entrails use have been directly endangered;

c) the entrails user has violated the rules of the entrails use and protection) the safety precautions well as the environment protection regulations established under law;

d) in conditions of an emergency situation (natural disaster, military operations, etc.);

e) if the user has not engaged himself with the entrails use in accordance with terms and requirements specified in the licence;

f) In the case of liquidation of the enterprise for which the licence has been issued.

4. In the cases as per subitem b) of item 3 of this article as soon as the decision is made the entrails use should be suspended and the entrails user should be notified in writing.

5. In the cases as per subitems a), c), d) of item 3 of this article the decision on the suspension of the entrails use right shall be made after three months' period from the date of written notification of the entrails user about the violations made by him and his failure to eradicate

ბული დარღვევებისა და ამ დარღვევების აღმოსაფხვრელ ღონისძიებათა გაუტარებლობის შესახებ.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტის "დ)" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში წიაღით სარგებლობა უნდა შეწყდეს ამ ქვეპუნქტში აღნიშნული პირობების წარმოშობისთანავე.

7. ამ მუხლის მე-3 პუნქტის "ა)", "ბ)", "გ)" ქვეპუნქტებში აღნიშნულ შემთხვევაში წიაღით სარგებლობის შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო ან ინსპექცია სამინისტროსთან შეთანხმებით, დანარჩენ შემთხვევაში კი ("ე)" და "ვ)" ქვეპუნქტები) სამინისტრო.

8. წიაღით სარგებლობის უფლება შეიძლება ვადაძღვე ადრე შეწყდეს წიაღით მოსარგებლის ინიციატივით, რის შესახებაც წერილობით უნდა ეცნობოს სამინისტროს სულ მცირე ექვსი თვით ადრე.

9. წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტისას ან დროებით შეჩერებისას უნდა მოხდეს სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს ან სხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობის სრული ან ნაწილობრივი კონსერვაცია.

10. სრული ან ნაწილობრივი ლიკვიდაციის ან კონსერვაციის დროს სამთო გვირაბები, მიწისქვეშა ნაგებობანი და ჭაბურღილები მოყვანილ უნდა იქნეს ისეთ მდგომარეობაში, რომ საფრთხე არ შეექმნას მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ბუნებრივ გარემოს, აგრეთვე არსებულ შენობებსა და ნაგებობებს. სრული ლიკვიდაციის დროს უნდა განხორციელდეს სარეკულტივაციო ღონისძიებები.

11. სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს ან მიწისქვეშა ნაგებობების ლიკვიდაციის ან კონსერვაციის დროს გეოლოგიური, სამარკშიდერო ან სხვა დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს სამუშაოთა დასრულების მომენტში არსებულ სიტუაციას, გადაეცემა წიაღის შესახებ სახელმწიფო საინფორმაციო ფონდს.

12. სასარგებლო წიაღისეული საწარმოს ან მიწისქვეშა ნაგებობების ლიკვიდაცია ან კონსერვაცია დასრულებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ინსპექცია ხელს მოაწერს სათანადო აქტს.

13. წიაღით სარგებლობის უფლების

these violations.

6. In the cases as per e) subitem of item 3 of this article the entrails use should be suspended as soon as conditions indicated in the subitem occur.

7. In the cases as per subitems a), b), c), d), item 3 of this article the decision on the entrails use restriction, suspension or cessation shall be made by the Ministry or the Inspection in agreement with the Ministry, while in other cases (sub-items e) and f)) by the Ministry.

8. The entrails use right may be suspended before time on the initiative of the entrails user, which should be notified to the Ministry in advance of six months at least.

9. In suspending or temporary ceasing the entrails use right the complete or partial conservation (laying up) of the mining enterprise or other underground structure should take place.

10. During complete or partial laying up or liquidation the workings, underground structures and boreholes shall be put into condition to avoid danger to the life and health of population, nature as well as existing buildings and structures. Recultivation measures shall be carried out during the complete liquidation.

11. During liquidation or laying up of a mining enterprise or an underground structure the geological, surveying or other documents that portray the existing situation shall be handed over to the state Information Fund on the entrails.

12. The liquidation or laying up of a mining enterprise or an underground structure shall be deemed completed from the moment of signature of its respective deed by the Inspection.

13. In the case of the entrails use right is

ვადამდე ადრე შეწყვეტის დროს საწარმოს ლიკვიდაცია ან კონსერვაცია წარმოებს მოქმედი კანონმდებლობით დაგენილი წესით. საწარმოს ლიკვიდაციის ან კონსერვაციის ხარჯები ეკისრება წიაღით მოსარგებლეს, თუ წიაღით სარგებლობა შეწყვეტილია ამ მუხლის მე-3 პუნქტის "ა)", "ბ)", "გ)" და "ვ)" ქვეპუნქტებში მოყვანილი მიზეზებით ან წიაღით მოსარგებლის ინიციატივით.

14. საწარმოს კონსერვაციისა და ლიკვიდაციის ხარჯებს კისრულობს სახელმწიფო. თუ წიაღით სარგებლობა შეწყდა ამ მუხლის მე-3 პუნქტის "ბ)" ქვეპუნქტში მოყვანილი მიზეზებით საწარმოს უდანაშაულობის გამო. აგრეთვე ამ მუხლის მე-3 პუნქტის "დ)" ქვეპუნქტში მოყვანილი მიზეზებით.

15. იმ შემთხვევაში, თუ აღმოიფხვრა წიაღით სარგებლობის უფლების შეჩერების ან შეზღუდვის გამოწვევი ვითარება და პირობები, ეს უფლება შეიძლება აღდგენილ იქნეს სრული მოცულობით. ამასთან ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც წიაღით სარგებლობა შეჩერებული იყო, არ შევა ლიცენზიის მოქმედების საერთო ვადაში, თუ შეჩერება ან შეზღუდვა წიაღით მოსარგებლის მიზეზით არ იყო გამოწვეული.

16. იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის გაცემის შემდეგ აღმოჩნდა სასარგებლო წიაღისეულის და მისი თანმხლები ძვირფასი კომპონენტების ახალი სახეობანი, ან სხვაობა დამტკიცებულსა და რეალურად არსებულ სასარგებლო წიაღისეულის მარაგებს შორის, ან შეიცვალა წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა პირობები, უნდა ჩატარდეს ვეოლოგიური მასალის სახელმწიფო ექსპერტიზა და გადაისინჯოს ლიცენზიის, მათ შორის ვადასახადების, პირობები.

17. სასარგებლო წიაღისეულის რეალიზებასთან დაკავშირებული პირობების შეცვლის შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელს შეუძლია დროებით შეაჩეროს სამუშაო და დადგენილი დროით დააკონსერვოს სამთომომპოვებელი საწარმო ან მოახდინოს მისი ლიკვიდაცია სამსახურის თანხმობის შემთხვევაში.

კონსერვაციის დრო შედის ლიცენზიის მოქმედების საერთო ვადაში.

18. საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება ვათვალისწინებული იყოს წიაღით

suspended before time, the enterprises liquidation or laying up shall be carried out under established procedure. The expenses connected with enterprise's or laying up shall be borne by the entrails user provided the entrails use has been stopped on grounds as per sub-items a), b), c) and f), item 3 of this article or on the entrails user's initiative.

14. The expenses connected with liquidation and laying up of an enterprise shall be borne by the state provided that the entrails use has been suspended on grounds as per sub-item b), item 3 of this article due to the enterprise's being innocent, as well as on grounds as per sub-item d), item 3 of this article.

15. In the case of eradication of the situation and condition leading to suspension or restriction of the entrails use right, the right may be restored at full extent. At the same time the period for which the entrails use was suspended will not be included in the general duration of the licence unless the suspension or restriction was caused by the entrails user.

16. In the case of finding new kinds of mineral resources and its associated valuable components, or a difference between the approved and actually existing reserves of mineral resources, or amending other conditions related to the entrails use, the state examination of the geological material shall be carried out with the revision of the licence term, including tax terms.

17. In the case of amendment of the terms concerning the realization of mineral resources the licence holder shall be entitled to stop works temporarily and lay up the mining enterprise under established procedure or liquidate it in the case of the Ministry's agreement.

The laying up time is included into the general duration of the licence.

18. Georgian legislation use provide for other grounds as well for the entrails use right

სარგებლობის უფლების შეწყვეტის, შეზღუდვის ან შეზღუდვის სხვა საფუძვლებიც.

19. წიაღით სარგებლობა შეიძლება შეზღუდოს ან აკრძალოს საქართველოს პრეზიდენტმა მოქმედი კანონმდებლობით დაგეგმილი წესით ეროვნული უშიშროების, ბუნებრივი გარემოს ან ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის მიზნით.

მუხლი 17. ლიცენზიის გაცემის წესი

1. წიაღით სარგებლობის ლიცენზია გაიცემა კონკურსით და აუქციონით.

2. წიაღით სარგებლობის კონკრეტულ ობიექტებზე კონკურსის და აუქციონის ჩატარების ვადას, წესსა და პირობებს განსაზღვრავს სამინისტრო.

3. წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოპოვებით დაინტერესებულმა სუბიექტმა სამინისტროს უნდა მიმართოს განცხადებით, რომელშიც აღინიშნება:

წიაღით სარგებლობის სახე და პარამეტრები: განმცხადებელი საწარმოს მისამართი. მისი სამეურნეო ურთიერთობები საწარმოო და საფინანსო პარტნიორებთან;

მონაცემები განმცხადებელი საწარმოს ხელმძღვანელის ან მფლობელის შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ ამ საწარმოს ლიცენზიის მიღებისას;

განმცხადებელი საწარმოს ფინანსური შესაძლებლობანი;

განმცხადებელი საწარმოს ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობანი, აგრეთვე იმ საწარმოების შესაძლებლობანი, რომლებიც მიზიდული არიან, როგორც მენარდები;

ინფორმაცია განმცხადებელი საწარმოს განვლილი საქმიანობების შესახებ, იმ სახელმწიფოთა სიის ჩათვლით, სადაც იგი უკანასკნელი 5 წლის მანძილზე საქმიანობდა;

განმცხადებელი საწარმოს წინადადებანი წიაღით სარგებლობის პირობების შესახებ;

წიაღის შესახებ ინფორმაციის ფლობის სამართლებრივი ასპექტები;

საერთო ცნობები მოთხოვნილი წიაღით სარგებლობის ტერიტორიის შესახებ (გეოგრაფიული და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მდგომარეობა, ფართობი, განაშენიანება, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დახასი-

suspension, cessation or restriction.

19. The entrails use may be restricted or prohibited by President of Georgia under established procedure with the purpose of protecting national security, the environment or historical or cultural monuments.

Article 17. Licence granting procedure

1. The entrails use licence is granted by contest and auction.

2. The period, procedure and terms of holding a contest and auction for a concrete object of the entrails use are defined by the Ministry

3. A subject interested obtaining the entrails use licence shall apply to the Ministry with an application including the data as follows:

the kind and parameters of the entrails use, the application address, its economic relations with the production and financial partners;

the data on the enterprise's management or the owner which represent the enterprise in obtaining the licence;

the financial potentialities of the applying enterprise;

the technical and technological potentialities of the applying enterprise as well as the potentialities of those enterprises that are engaged as pieceworkers;

the information on past activities of the applying enterprise, including a list of those states where it has worked during last 5 years;

the proposals of the applying state concerning the entrails use conditions;

the legal aspects of the entrails use information ownership;

the general data on the area of the demanded entrails use (the geographical and administrative and territorial location, area, development, characteristics of the agricultural land and forests, etc.), a brief geological survey



ათება და სხვა), მოკლე გეოლოგიური დახასიათება.

მიწის მესაკუთრის წინასწარი თანხმობა წიაღით სარგებლობისათვის მიწით სარგებლობის პირობების შესახებ.

4. საკონკურსო სისტემის დროს გამარჯვებულად ითვლება ის განმცხადებელი, რომელიც პასუხობს კონკურსის პირობებს და წარმოადგენს წიაღისა და გარემოს დაცვის მოთხოვნათა შესაბამის, ეკონომიკურად მისაღებ და ყველაზე მეტად გამართლებულ ტექნიკურ გადაწყვეტას. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსზე შემოვიდა მხოლოდ ერთი განცხადება, წიაღით სარგებლობის უფლების ლიცენზია შეიძლება მიეცეს მას გამოცხადებული კონკურსის პირობების საფუძველზე.

კონკურსი ჩაითვლება ჩაშლილად, თუ არც ერთი პრეტენდენტი არ პასუხობს წამოყენებულ პირობებს. კონკურსის მონაწილეებს ვაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდებათ.

5. ლიცენზიის მიღების სააუქციონო სისტემის დროს გამარჯვებულად ჩაითვლება ის პრეტენდენტი, რომელიც პასუხობს აუქციონის პირობებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს წიაღით სარგებლობის (ლიცენზიის) მისაღებად.

6. აუქციონი იმართება იმ შემთხვევაში, თუ კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები თანაბრად აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს.

**მუხლი 18. სალიცენზიო მოსაკრებელი**

1. სალიცენზიო მოსაკრებელი არის ერთჯერადი გადასახადი. იგი შედგება წიაღით სარგებლობის ლიცენზიის გაცემაზე კონკურსისა და აუქციონის მომზადებისათვის საჭირო საორგანიზაციო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯებისაგან (საკონკურსო ან სააუქციონო მოსაკრებელი) და წიაღით სარგებლობის უფლების მოსაკრებლისაგან.

საკონკურსო ან სააუქციონო მოსაკრებელს იხდის კონკურსის და აუქციონის თითოეული მონაწილე ცალ-ცალკე. ამ თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება სამინისტროს კონკურსის ან აუქციონის ჩატარებამდე ათი დღით ადრე.

წიაღით სარგებლობის უფლების მოსაკრებელს იხდის მხოლოდ კონკურსში ან აუ-

the prior consent of the land owner concerning the land use terms for the entrails use.

4. The winter of the contest system shall be deemed as the applicant who meets the contest terms and presents the most appropriate and feasible technical solution. In the case of filing a single application, the entrails use licence may be granted to the applicant on the basis of the announced content terms.

The contents shall be deemed as disrupted if none of the claimants meets the contest terms, expenses of the contest participants shall not be reimbursed to them.

5. The winner of the auction for licence granting shall be the claimant who meets the auction terms and offers the largest amount for obtaining the entrails use rights (licence).

6. An auction shall be held in the case if the projects presented to the contest equally meet the contest terms.

**Article 18. Licence fee**

1. The licence fee is a single charge. It comprises the organizational expenses and the expenses on material and technical supplies (contest of auction charges) or preparation of a contest and auction for the entrails use licence granting and the entrails use right charge.

